მაგთიკომის განცხადება

22 / ივნისი / 2021

2021 წლის 15 ივნისს მაგთიკომმა საქართველოს პარლამენტს ღია წერილით მიმართა, რომელშიც ასახული იყო მაგთიკომის საჯარო განცხადებები - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ არაკომპეტენტურ, ყალბი ინფორმაციით გაჯერებულ 2020 წლის ანგარიშზე და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ბატონი კახა ბექაურის ქმედებებზე.

აღნიშნულმა ღია წერილმა ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, დაგვიკავშირდნენ და გვიკავშირდებიან პარლამენტის წევრები, ფრაქციები, პოლიტიკური პარტიები, მედიის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამასთან, ვინაიდან გაურკვეველია როდის გაიმართება კომუნიკაციების კომისიის 2019 და 2020 წლების ანგარიშების განხილვა/მოსმენა საქართველოს პარლამენტში და ვინაიდან ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს შესაძლებლობა კომუნიკაციების კომისიის ანგარიშის განხილვისას დეტალურად წარმოვაჩინოთ ჩვენი პოზიცია, დაპირებისამებრ ვიწყებთ საჯარო სივრცეში კონკრეტული ფაქტების თემატურ წარმოჩენას საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის არაკომპეტენტურ ქმედებებზე, კერძოდ, მსოფლიოში ათი საუკეთესო აუდიტორული კომპანიიდან ექვსის Deloitte-ის, KPMG-ის, BDO-ის, RSM-ის, Nexia-ს და Grant Thornton-ის პასუხები, კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 16 ოქტომბრის განცხადებაზე:

www.magticom.ge/deloitte
www.magticom.ge/kpmg
www.magticom.ge/bdoandkalba
www.magticom.ge/rsm
www.magticom.ge/nexiata
www.magticom.ge/grantthornton

კომუნიკაციების კომისია არასწორად განმარტავს ევროკავშირის რეგულირების პრაქტიკას მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებთან (MVNO) მიმართებაში და მიზანმიმართულად ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. კომუნიკაციების კომისიამ რისკების შეფასების გარეშე მიიღო ნაჩქარევი და გაუაზრებელი გადაწყვეტილება (2019 წლის 31 დეკემბრის გ-20-9/156) მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) **სავალდებულო დაშვების შესახებ,** რა დროსაც მას არ ჩაუტარებია კანონით განსაზღვრული აუცილებელი კვლევა. კომუნიკაციების კომისია უგულვებელყოფს ITU-ის (საერთაშორისო

სატელეკომუნიკაციო კავშირის) მიერ აღიარებულ და დადასტურებულ კიბერუსაფრთხოების რისკებს და მისგან გამომდინარე შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ მაგთიკომმა არაერთხელ გააფრთხილა კომუნიკაციების კომისია არსებული რისკების შესახებ და ეს რისკები დადასტურებულ იქნა მსოფლიოში ექვსი საუკეთესო საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ სათანადო კვლევა/ანალიზის/დასკვნის საფუძველზე, კომისიის მხრიდან დაუსაბუთებლად განხორციელდა მათი უარყოფა. ამ ფაქტების და კვლევების ფონზე, ბუნებრივია, რომ ჩნდება კითხვები, თუ რა საჭიროა კომუნიკაციების კომისიის მხრიდან მსგავსი მავნებლური გადაწყვეტილების ამოქმედება, განსაკუთრებით, იმ პერიოდში, როდესაც მთელს მსოფლიოში და საქართველოშიც სრულიად გაურკვეველი მდგომარეობაა, როგორც პანდემიის და მისი შედეგების, ასევე საქართველოში ეროვნული ვალუტის გაუფასურების მხრივ. ამასთან, საქართველოში თითოეული მობილური აბონენტიდან საშუალო თვიური შემოსავალი 8.6 ლარია! რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ევროპაში, ხოლო საქართველოში მობილური ქსელის ხარისხი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ამავე დროს, სამი მობილური ოპერატორიდან ორი წმინდა ზარალზეა...

შესაბამისად, გაუგებარია აღნიშნული გადაწყვეტილება რა მიზანს ემსახურება? იმას, რომ მომავალში ვერ განვვითარდეთ? თუ სხვამ დაგვიმონოს? თუ დაანგრიოს ქვეყნის ეკონომიკა, უსაფრთხოება და ყველაფერი ის, რაც აქამდე შექმნილა? აქედან გამომდინარე ჩნდება გონივრული ეჭვი ყოველივე ეს ვინმეს პირად ინტერესს ხომ არ უკავშირდება ან კომუნიკაციების კომისია ხომ არ არის ვირტუალური ოპერატორის (MVNO) მხარე? მაშინ, როდესაც მისი ვალდებულებაა იყოს დარგის ნეიტრალური არბიტრი.

Magticom’s statement

22 / June / 2021

On 15 June 2021, Magticom addressed an open letter to the Parliament of Georgia reflecting Magticom’s public statements regarding the Georgian National Communications Commission’s Annual Report for 2020, that was fraught with manifestly ill-founded and downright false information and the acts of Mr. Kakha Bekauri, the Chairman of Georgian National Communications Commission.

The open letter has drawn wide interest from the general public. We’ve been contacted by members of Parliaments, parliamentary factions, political parties, media outlets and non-governmental organizations. However, considering the above, there is no certainty as to when the GNCC Reports for 2019 and 2020 will be heard in the Parliament of Georgia and having regard

to the fact that so far we have not had the opportunity to put forward our detailed position at the hearing of the GNCC Reports, we are beginning, as promised, to present for public review the specific facts of the inefficient acts of the Georgian National Communications Commission, namely the responses by six of the internationally acclaimed G10 audit companies (namely, Deloitte, KPMG, BDO, RSM, Nexia and Grant Thornton) to the Communications Commission's statement of 16 October 2020:

www.magticom.ge/en/deloitte
www.magticom.ge/en/kpmg
www.magticom.ge/en/bdoandkalba
www.magticom.ge/en/rsm
www.magticom.ge/en/nexiata
www.magticom.ge/en/grantthornton

Misinterpreting the EU regulation practices for Mobile Virtual Network Operators (MVNO), the Communications Commission deliberately tries to mislead the public. Without obtaining a proper risk assessment, the Communications Commission made a hasty and ill-thought-out decision (#O-20-9/156, 31 December 2019) on mandatory access of Mobile Virtual Network Operators (MVNO). The Communications Commission made the decision without having conducted the necessary market analysis required by law. The Communications Commission has disregarded the cybersecurity risks identified and confirmed by International Telecommunications Union (ITU) and the consequences that may follow.

Although Magticom had repeatedly informed the Communications Commission of the above risks and the such risks had been confirmed by six of the internationally acclaimed G10 audit companies in their respective analytical reports, the Communications Commission unreasonably ignored and disregarded them. In light of the above facts and analyses, questions do arise as to why the need for such harmful decisions on the part of the Communications Commission, especially during the time of far-reaching uncertainties throughout the whole world in general and in Georgia in particular in terms of both the current pandemics and its consequences and the ongoing devaluation of the Georgian national currency, especially in light of the fact that the mobile network operator's average monthly income per mobile subscriber in Georgia is only GEL 8.6! This is the one of the lowest across Europe against the Georgian mobile network quality that is one of the best around the globe. Plus the effect that two of the three mobile network operators in Georgia incur net losses…

In light of the above, one can't help wondering what purpose that the above decision serves may be: to prevent us from developing in the future? To help others to enslave us? To destroy the national economy, security and all that has been produced so far? All the above provides a strong basis for a reasonable suspicion that someone's vested interests may just as well be behind the above decision or/and that the Communications Commission itself may be a party behind MVNO despite the clear legal requirement that the Communications Commission must act as a neutral arbiter in the sector.